სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

25 მარტი, 2024 წელი

ბრძანება № 01-08/298

,,2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ბსუ-ს სტუდენტთა მიერ საგანმანათლებლო **პროგრამების შეცვლის (შიდა მობილობის) შესახებ''** **ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 26 თებერვლის №01-08/48 ბრძანებაში** და ,,2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ბსუ-ს სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში დაბრუნების შესახებ'' **ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 26 თებერვლის №01-08/49 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 და 66-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის, ,,უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 18 ოქტომბრის №90/ნ ბრძანების, „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილების, ,,ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე" **ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს N01-02/143 ბრძანების**, ,,ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თურქეთისმცოდნეობის და თურქული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების გაუქმებისა და 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „თურქოლოგია" რიგგარეშე შიდა მობილობის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 02 მარტის N06-01/19 დადგენილების, ,,2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის „თურქეთისმცოდნეობის" და „თურქული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან ,,თურქოლოგიის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რიგგარეშე შიდა მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 6 მარტის N01-02/47 ბრძანების (ცვლილება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით N01-02/61, 31.03.2023 წ.), „2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის/შიდა მობილობის კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №06-01/02 დადგენილების, **ბსუ-ს** სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის 2024 წლის 22 მარტის MES 7240000340351 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ბსუ-ს სტატუსშეჩერებულ **სტუდენტთა სასწავლო პროცესში დაბრუნების** შესახებ'' **ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 26 თებერვლის №01-08/49** ბრძანებაში **შევიდეს ცვლილება,** კერძოდ, ბრძანების **№1 დანართიდან ამოღებული იქნეს 32-ე გრაფა - ჩანაწერი** ბსუ-ს ,,თურქული ფილოლოგიის" საბაკალავრო პროგრამაზე ბსუ-ს სტუდენტის სტატუსშეჩერებულ (პირადი განცხადების საფუძველზე - რექტორის ბრძანებით N01-08/281, 30.03.2022წ) **თათია ზოიძის** (პ/ნ.) ,,თურქული ფილოლოგიის" საბაკალავრო პროგრამაზე სასწავლო პროცესში დაბრუნების შესახებ.

2. ,,2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ბსუ-ს სტუდენტთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის (შიდა მობილობის) შესახებ'' **ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 26 თებერვლის №01-08/48** ბრძანებაში **შევიდეს ცვლილება,** კერძოდ, ბრძანების **№1 დანართს დაემატოს 85-ე გრაფა, ჩანაწერი** ბსუ-ს ,,თურქული ფილოლოგიის" საბაკალავრო პროგრამაზე ბსუ-ს სტუდენტის სტატუსშეჩერებულ (პირადი განცხადების საფუძველზე - რექტორის ბრძანებით N01-08/281, 30.03.2022წ) **თათია ზოიძის** (პ/ნ.) ბსუ-ს **,,თურქოლოგიის" საბაკალავრო პროგრამაზე გადასვლის შესახებ** და აღნიშნული დამატების გათვალისწინებით რექტორის 2024 წლის 26 თებერვლის **№01-08/48** ბრძანების **N1 დანართის 85-ე** გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	სტუდენტის სახელი, გვარი	სტუდენტის პირადი ნომერი	ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამა და სწავლების საფეხური საიდანაც გადადის	ბსუ-ს ფაკულტეტი საიდანაც გადადის	ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამა და სწავლების საფასური სადაც აგრძელებს სწავლას	ბსუ-ს ფაკულტეტი სადაც აგრძელებს სწავლას	კრედიტი	სემესტრი	სწავლის საფასური (ლარი)
85	თათია ზოიძე		თურქული ფილოლოგია-ბაკალავრიატი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	თურქოლოგია-ბაკალავრიატი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	30	II	2250

3. ბრძანება აისახოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში და უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, წინამდებარე ბრძანებაში აღნიშნულ ბსუ-ს სტუდენტს, ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს (შესაბამის ფაკულტეტს-სტუდენტის პირად საქმეში ასახვის მიზნით, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი

მ. ხალვაში